# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/209

ქ. თბილისი

29 დეკემბერი 2025წ

**თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „სამშენებლო პერსონალის კვალიფიკაციის შეფასების ცენტრის“ შექმნის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 დეკემბრის №01-05-02/ 29 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მიღებული იქნეს წინადადება უნივერსიტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი ,,სამშენებლო პერსონალის კვალიფიკაციის შეფასების ცენტრის“ შექმნის თაობაზე.
2. მოწონებული იქნეს ,,სამშენებლო პერსონალის კვალიფიკაციის შეფასების ცენტრის“ დებულება (დანართი).
3. საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი).
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, № 64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**